

თბილისის სახ. კონსერვატორიასა და ლისტის მუსიკის
აკადემიის ერთობლივი პროექტი

საკომპოზიტორო კონკურსი ”ბარტოკის ანარეკლები“

პროექტის მხარდამჭერია უნგრეთის საგარეო საქმეთა
სამინისტრო

14-19 ნოემბერი, 2016

კონსერვატორიის მცირე დარბაზი

პროექტის მოკლე აღწერილობა

პროექტი ”ბარტოკის ანარეკლები” არის ლისტის მუსიკის აკადემიისა და სახ. კონსერვატორიის ერთობლივი პროექტი. იგი მიზნად ისახავს ორი აკადემიის სტუდენტების მიერ თანამედროვე ნაწარმოების შექმნას, რომელიც ინსპირირებული იქნება ბელა ბარტოკის მიერ შექმნილი 4 კომპოზიციით და დაიწერება როგორც ბარტოკის უკვდავი ქმნილებების ანარეკლი.

”კონტასტები” - ვიოლინოს, კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის

ალეგრო ბარბარო - ფორტეპიანოსთვის

რაფსოდია No.1. – ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის

სიმებიანი კვარტეტი

პროექტის განხორციელების ადგილია: ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახ. კონსერვატორია, თბილისი, საქართველო.

14-19 ნოემბერის განმავლობაში დაგეგმილია მასტერკლასები, ვორქშოფები, ლექცია სემინარები კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის და მუსიკოლოგიისა და კომპოზიციის მიმართულების სტუდენტებისთვის. მასტერკლასებს ჩაატარებენ ლისტის მუსიკის აკადემიის პროფესორები.

პროექტი დასრულდება კონსერვატორიისა და ლისტის მუსიკის აკადემიის სტუდენტების ერთობლივი **კონცერტით**, რომელიც გაიმართება 19 ნოემბერს კონსერვატორიის მცირე დარბაზში. კონცერტზე შესრულდება როგორც ბარტოკის

მიერ შექმნილი ნაწარმოები ისე მის მიხედვით სტუდენტების მიერ დაწერილი "ანარეკლი".

საკომპოზიციო მიმართულების გადაწყვეტილებით სახ. კონსერვატორიის სტუდენტები შექმნიან ანარეკლს ბარტოკის 2 ნაწარმოებზე:

"კონტასტები" - ვიოლინოს, კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის

რაფსოდია No.1. – ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის

ხოლო ლისტის მუსიკის აკადემიის საკომპოზიციო მიმართულების სტუდენტები კი დაწერენ ანარეკლს ბარტოკის

ალეგრო ბარბარო - ფორტეპიანოსთვის

სიმებიანი კვარტეტი - IV კვარტეტის ფინალი, ან V კვარტეტის მე-2 ნაწილი.

"ბარტოკის ანარეკლის" გამარჯვებული 2 სტუდენტი გამოვლინდება კონკურსის წესით. კონკურსის პირობები ჩამოტვირთეთ აქ

კონკურსი:

მუხლი 1. კონკურსის სტრუქტურა

1.1. კონკურსი ტარდება ერთ ტურად,

1.2. საკონკურსო ნაწარმოებები პრეტენდენტებს შეაქვთ საერთშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში

მუხლი 2. საკონკურსო პირობები

2.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია კონსერვატორიის აქტიური სტატუსის მქონე კომპოზიციის მიმართულების ან/და მუსიკის ტენოლოგიების სტუდენტს

2.2. საკონკურსო ნაწარმოები უნდა წარმოადგენდეს "ბარტოკის ანარეკლს" შემდეგ ნაწარმოებზე: კონტრატსები და რაფსოპდია

2.3. საკონკურსო ნაწარმოები უნდა დაიწეროს ზუსტად იმ შემადგენლობისთვის რომლისთვისაც არის დაწერილი ორგინალი: კონტრასტები ვიოლინოს, კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის; რაფსოდია No.1. – ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის

2.4. საკონკურსო ნაწარმოების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 5-9 წუთი

2.5.. საკონკურსო ნაწარმოები უნდა იყოს 2016 წელს შექმნილი

2.6. კონკურსანტი ირჩევს ბარტოკის ორი ნაწარმოებიდან ერთ-ერთს

2.7. ანარეკლი უნდა შეიცავდეს ბარტოკის ორიგინალური ნაწარმოების ელემენტს/ებს (კონკურსანტის არჩევით)

2.8. ნაწარმოებს არ დაეწეოს ავტორის ვინაობა - ანონიმურობა გარანტირებულია

2.9. საკონკურსოდ შემოტანილი მასალა ავტორებს უკან არ უბრუნდება.

2.10. კონკურსის შედეგად გამოვლინდება 2 სტუდენტი

მუხლი 4. კონკურსის ჟიური (შემდგომში „ჟიური“)

4.1. გამარჯვებულ ნაწარმოებს გამოავლენს ჟიური

4.2. ჟიური შედგება 5 წევრისა (ჟიურის ხუთი წევრი), და პასუხისმგებელი მდივნისგან.

4.2. ჟიურის წევრები და პასუხისმგებელი მდივანი ინიშნება რექტორის ბრძენებით

4.4. ჟიურის პასუხისმგებელი მდივანი:

- იწვევს ჟიურის სხდომას;
- აწარმოებს სხდომის ოქმს;
- თავს უყრის ჟიურის მუშაობის მასალებს.

მუხლი 5. ჟიურის მიერ გადაწყვეტილების მიღება

5.1. ჟიური უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ შეარჩიოს საუკეთესო 2 მუსიკალური ნაწარმოები: კონტრასტები და რაფსოდია No.1- ის ”ანარეკლი”

5.2. ჟიური გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით;

5.3 ჟიურის უკლებლივ ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში თუკი ჟიურის რომელიმე წევრი ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას სხდომა ვერ ჩითვლება ლეგიტიმურად

5.4. ჟიურის ყველა სხდომა აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ჟიურის ყველა წევრი და პასუხისმგებელი მდივანი

5.5. ჟიური უფლებამოსილია განიხილოს საკონკურსოდ შემოტანილი ნაწარმოებები საკონკურსო ნაწარმოების შემოტანის საბოლოო ვადიდან 25 დღის ვადაში.

5.6. ჟიური ვალდებულია გამოაცხადოს გამარჯვებული **2 სტუდენტი** არა უგვიანეს 25 ივნისისა.

მუხლი 6. კონკურსის შედეგი

6.1. გამარჯვებული ნაწარმოები შესრულდება კონსერვატორიის მცირე დარბაზში ერთობლივი საერთშორისო პროექტის ფარგლებში

მუხლი 7. ფორმალური პირობები

7.1. საერთშორისო ურთიერთობათ დეპარტამენტში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი საკონკურსო დოკუმენტაცია ორ ეტაპად:

I ეტაპი

- შევსებული სააპლიკაციო ფორმა (ჩამოქაჩეთ აქ)

!!! სააპლიკაციო ფორმის შემოტანის საბოლოო ვადაა 6 აპრილი 17 სთ.

II ეტაპი . კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი აუცილებელი დოკუმენტები:

1. საკონკურსო ნაწარმოების პარტიტურა, ან კლავირი 5 ეგზემპლარად
2. მუსიკალური ნაწარმოების პარტიტურის ან კლავირის Finale-ს ან Sibelius-ის პროგრამაში აკრეფილი ელექტრონული ვერსიის CD;
3. სიბელიუსის და ფინელეს პროგრამაში შექმნილი ნაწარმოების აუდიო ჩანაწერი;
4. არტისტული ფოტო ციფრულ ფორმატში
5. ბიოგრაფია ინგლისურ და ქართულ ენებზე
6. ცნობა დეკანატიდან სტუდენტის სტატუსის და პედაგოგის შესახებ

!!! საკონკურსო ნაწარმოების და აუცილებელი დოკუმენტაციის შემოტანის საბოლოო ვადაა 30 მაისი 17 სთ.

7. დამატებითი ინფორმაცია

7.1. კონსულტაციები გაიმართება კონკურსის გამოცხადებისთანავე, სამუშო დღეებში 15.00 საათიდან 17.00 საათამდე ინდივიდუალურ რეიმში. კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციის მიმართულების ასოც. პროფ. მაია ვირსალაძეს, ოთხი 229; ტელ 298 71 85

7.2. დოკუმენტაციასთან დაკავშირებით მიმართეთ საერთშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს: ოთხი 225; ტელ: 298 71 86